სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

ნოემბერი №22

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009
Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikvilaZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~ registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI" (Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi erTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi ---------- 5-51

instruqcia / **Instructions** ----------52-53

Semosavlebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ----
---------- 54-55

auqcioni / **Auction** ---------- 56

gadasaxadebi #22, 2018

GADASAKHADEBI #22, 2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პროექტი

საქართველოს კანონი

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №40, 18.07.2005, მუხ. 264) პირველი მუხლის 2^6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^7 პუნქტი:

„2^7. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობაზე, როდესაც მიწისქვეშა სივრცეს იყენებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული –შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ ექვემდებარება მიწისქვეშა სივრცით სარგებლობის ლიცენზიის მიღებას. აღნიშნული ლიცენზია წარმოადგენს სარგებლობის ლიცენზიის სახეს. აღნიშნული კანონის შესაბამისად, სარგებლობის ლიცენზია – ლიცენზიის სახეობაა, რომელიც პირს ანიჭებს სახელმწიფო რესურსებით სარგებლობის უფლებას და იგი გაიცემა აუქციონის წესით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, რაც გულისხმობს ლიცენზიის პირდაპირი წესით გაცემას. აუქციონის წესით კონკრეტული რესურსით სარგებლობის ლიცენზია გაიცემა სარგებლობისათვის დადგენილი ნორმებისა და წესების დაკმაყოფილების ვალდებულების აღებისა და ყველაზე მაღალი ფასის წამოდგენის საფუძველზე და მასში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა ლიცენზიის მაძიებელს, რომელიც დააკმაყოფილებს კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს და აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს სარგებლობის ლიცენზიის გამცემის მიერ განსაზღვრული მოთხოვნები.

აუქციონის ჩატარების წესებისა და პირობებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ მიწისქვეშა სივრცით სარგებლობის ლიცენზიის მიღება წარმოადგენს ფორმალურ პროცედურას, ვინაიდან იგი ერთადერთი სუბიექტია, ვისაც შეუძლია განახორციელოს მგზავრთა მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით მომსახურება. ხოლო, პირდაპირი წესით ლიცენზიის გაცემა ვერ განხორციელდება, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს მთავრობას შეუძლია პირდაპირი წესით გასცეს ლიცენზია მხოლოდ სამკურნალო ტალახისა და მიწისქვეშა მინერალური წყლების მოპოვებისთვის. გარდა ამისა, აუქციონის წესით გაცემა დაკავშირებულია დროის ხანგრძლივ პერიოდთან და სათანადო პროცედურების განხორციელებასთან, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მეტროპოლიტენის საქმიანობის შეფერხება. ასეთ შემთხვევაში, კი ზიანი ადგება განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს. ამასთან, თბილისის მეტროპოლიტენს, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით („სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებები შესახებ“) ეკისრება სამოქალაქო უსაფრთხოების ფუნქცია. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ იგი წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალურ საწარმოს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დამატებით ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ შემოთავაზებული რეგულაცია უმნიშვნელო გავლენას იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან მიწისქვეშა სივრცის გამოყენებისათვის დაწესებული ერთჯერადი სალიცენზიო მოსაკრებლის თანხა მცირეა და, ამასთან, ასეთი ლიცენზია გაიცემა ხანგრძლივი ვადით (საშუალოდ 20 წლით).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია თუ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები არ გავრცელდება შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაზე“ .

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია კანონმდებლობაში ფორმალური პროცედურების გაუქმება და მაღალი სახელმწიფო და საჯარო ინტერესების დაცვა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

შემოთავაზებული ცვლილების თანახმად, მიწისქვეშა სივრცით სარგებლობის ლიცენზიის მიღებას არ დაექვემდებარება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული – შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის ამოქმედება არ საჭიროებს დამატებითი სახსრების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან;

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე იმ მოცულობით, რაც დადგენილია ასეთი ლიცენზიის მოსაკრებლით განსაზღვრული ოდენობით (200 ლარი). საგულისხმოა ის გარემოება, რომ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ ლიცენზიის მოქმედების ვადა გაგრძელებული აქვს 20 წლის ვადით და მომდევნო 20 წლის განმავლობაში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდა არ მოუწევდა;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღებით შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ არ მოუწევს სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდა;

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ)კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და

შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება, მათ შორის, ხდება მისი (მათი) ამოღება

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. კანონით დადგენილ შემთხვევაში ამ კანონის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს აგრეთვე არაორგანიზებულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე. ეს კანონი ასევე აწესრიგებს ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროს, განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების წესებს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ამ კანონის (გარდა ამ კანონის მე-6 მუხლის 72-ე–72[5] პუნქტებისა და 24-ე მუხლის 54-ე პუნქტისა) მოქმედება არ ვრცელდება ამავე კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე, თუ მას ახორციელებს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, ხოლო „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებულ სფეროზე არ ვრცელდება ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტისა და IV და V თავების მოქმედება. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება აგრეთვე სახელმწიფო-საექსპერტო დაწესებულებაზე, თუ ის ახორციელებს ამ კანონის მე-6 მუხლის 72-ე–72[5] პუნქტებითა და 24-ე მუხლის 54-ე პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრზე, თუ ის ახორციელებს ამ კანონის მე-6 მუხლის 72[4] პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირსა – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებულ სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებაზე – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურზე, თუ ისინი ახორციელებენ ამ კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტითა და 24-ე მუხლის მე-9–10[1] პუნქტებით გათვალისწინებულ საქმიანობებს.

[2. ამ კანონის (გარდა ამ კანონის მე-6 მუხლის 72-ე–72[5] პუნქტებისა და 24-ე მუხლის 23-ე–24[1] და 54-ე პუნქტებისა) მოქმედება არ ვრცელდება ამავე კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე, თუ მას ახორციელებს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, ხოლო „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებად სფეროზე არ ვრცელდება ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტისა და IV და V თავების მოქმედება. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება აგრეთვე სახელმწიფო-საექსპერტო დაწესებულებაზე, თუ ის ახორციელებს ამ კანონის მე-6 მუხლის 72-ე–72[5] პუნქტებითა და 24-ე მუხლის 54-ე პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრზე, თუ ის ახორციელებს ამ კანონის მე-6 მუხლის 72[4] პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოზე და საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებულ სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებაზე – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურზე, თუ ისინი ახორციელებენ ამ კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტითა და 24-ე მუხლის მე-9–10[1] პუნქტებით გათვალისწინებულ საქმიანობას. **(ამოქმედდეს 2019 წლის 3 ივნისიდან)**]

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2^1. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ამავე კანონის 24-ე მუხლის 23-ე და 24-ე პუნქტებით გათვალისწინებულ საქმიანობებზე, თუ მათ ახორციელებს ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეული, ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან/და საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

[2^1.(ამოღებულია –20.07.2018, №3218). (**ამოქმედდეს 2019 წლის 3 ივნისიდან**)]

2^2. ამ მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელებისას სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოებისა და შეთანხმების წესს განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

[2^2.(ამოღებულია –20.07.2018, №3218). (**ამოქმედდეს 2019 წლის 3 ივნისიდან**)]

2^3. ამ კანონის 24-ე მუხლის 17^1–17^5 და 27-ე – 27^4 პუნქტებით განსაზღვრული ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონითა და „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით.

2^4. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ დეპოზიტების დაზღვევის საქმიანობაზე.

2^5. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიით განსაზღვრულ საქმიანობაზე, როდესაც სასარგებლო წიაღისეულის – მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი.

2^6. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს საქმიანობაზე.

3. წინასწარი ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №542

2018 წლის 14 ნოემბერი, ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წამლის სააგენტოს დაფუძნების შესახებ

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. განხორციელდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს (შემდგომში – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო) რეორგანიზაცია და წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის მიმართულებით (მათ შორის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებზე) მისი ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების ბაზაზე დაფუძნდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – წამლის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

2. სააგენტოს:

ა) ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (შემდგომში – მინისტრი);

ბ) დებულების დამტკიცება და სახელმწიფო კონტროლი განახორციელოს სამინისტრომ.

3. სააგენტო ჩაითვალოს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს სამართალმემკვიდრედ წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის საკითხებთან დაკავშირებით.

4. სააგენტო წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის მიმართულებით განსახორციელებელი კომპეტენციით აღიჭურვოს და შესაბამისი უფლებამოსილებები განახორციელოს 2019 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 2

ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე დაიწყოს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს რეორგანიზაცია.

2. სააგენტოს ხელმძღვანელმა (გარდამავალ პერიოდში – არაუგვიანეს 2019 წლის 1 თებერვლისა), საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს წარდგინების საფუძველზე, უზრუნველყოს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს წამლისა და ფარმაცევტულ საქმიანობასთან დაკავშირებით მომუშავე შესაბამის თანამშრომელთა (შტატით ან შტატგარეშე) უკონკურსოდ გადაყვანა (დანიშვნა) სააგენტოს შესაბამის თანამდებობებზე.

3. ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებები 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განხორციელდეს „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამედიცინო საქმიანობის რეგულირების პროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში (პროგრამული კოდი: 35 01 02).

4. სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული/გამოცემული სამართლებრივი აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას მთავრობის/სამინისტროს/სააგენტოს მიერ ახალი სამართლებრივი აქტების მიღებამდე/გამოცემამდე. ამასთანავე, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის ან მათი ძალადაკარგულად გამოცხადების უფლებამოსილება მიენიჭოს სააგენტოს.

5. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დასრულებამდე სააგენტოს მიეცეს უფლება, თავისი უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, ისარგებლოს ამ დადგენილების ამოქმედებამდე სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ბალანსზე რიცხული შესაბამისი ქონებითა და სამსახურებრივი დოკუმენტაციით (მათ შორის, შესაბამისი საარქივო მასალითა და სხვა დოკუმენტაციით).

6. სამინისტრომ უზრუნველყოს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაცია, ამ მიზნით:

ა) დადგენილების ამოქმედებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში შექმნას სარეორგანიზაციო კომისია (შემდგომში – კომისია), განსაზღვროს მისი მიზნები, ფუნქციები და ამოცანები. კომისიამ უზრუნველყოს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს საბალანსო მონაცემების მიხედვით, სააგენტოსთვის გადასაცემი აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების, აგრეთვე სამსახურებრივი დოკუმენტაციის (მათ შორის, შესაბამისი საარქივო მასალისა და სხვა დოკუმენტაციის) განსაზღვრა სააგენტოსთვის გადასაცემად, აგრეთვე საკადრო რესურსის სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოდან სააგენტოში გადაყვანის პროცესის კოორდინაცია. კომისიის სხვა უფლებამოსილებებს განსაზღვრავს მინისტრი;

ბ) 2019 წლის 1 თებერვლამდე:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ.ა) უზრუნველყოს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სააგენტოსთვის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადაცემისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება;

ბ.ბ) ამ დადგენილებასთან შესაბამისობის მიზნით, შესაბამისი სამართლებრივი აქტების მომზადებისათვის/მიღებისათვის საჭირო ღონისძიებების უზრუნველყოფა.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №547

2018 წლის 16 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის №61 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/02/2015, 040030000.10.003.018446) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „3^1“ ქვეპუნქტი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ვ[1]) საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების ან/და დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების შესაბამისობის დადგენის მიზნით, რეგულირების ობიექტ(ებ)ის ტერიტორიაზე სინჯების აღებასა (სახელმწიფო კონტროლისთვის) და გაზომვების ჩატარებას;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №550

2018 წლის 16 ნოემბერი, ქ. თბილისი

„დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 დეკემბრის №238 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 დეკემბრის №238 დადგენილებაში (სსმ III, 2005 წელი, №153, მუხლი 1697) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) 2020 წლის 1 იანვრიდან:

თ.ა) ცეტანის რიცხვი – არანაკლებ 51-ისა;

თ.ბ) გოგირდის შემცველობა – არაუმეტეს 10 მგ/კგ-ისა;

თ.გ) სიმკვრივე 15°C – არაუმეტეს 845 კგ/$მ^3$-ისა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თ.დ) პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების მასური წილი – არაუმეტეს 11%-ისა.“.

2. მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დიზელის ხარისხის ანალიზისთვის გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო სტანდარტები (ისო) ან/და ევროპული ნორმები (ენ) ან/და საქართველოს მიერ აღიარებული მისი ეკვივალენტი სხვა მეთოდები და სტანდარტები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №557

2018 წლის 22 ნოემბერი, ქ. თბილისი

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2014, 240140000.10.003.017985) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ I[3] თავის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის I[4] თავი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„თავი I[4]

„სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“

აწარმოე უკეთესი მომავლისთვის ნაწილი

მუხლი 12[21]. ტერმინთა განმარტება

„სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ აწარმოე უკეთესი მომავლისთვის ნაწილის მიზნებისთვის, ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პროგრამა – „სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ აწარმოე უკეთესი მომავლისთვის ნაწილი;

ბ) მეწარმე სუბიექტი – აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ან ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე) ლეგიტიმურად მცხოვრები 18 წელს მიღწეული ფიზიკური პირი; აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი, რომელიც საქმიანობას ლეგიტიმურად ახორციელებს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ან ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე), აგრეთვე 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე;

გ) მეწარმე სუბიექტთა ჯგუფი – პროგრამის ფარგლებში, საერთო მიზნების მისაღწევად, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით (ამხანაგობის ხელშეკრულებით), მეწარმე სუბიექტების გაერთიანება;

დ) პროგრამის ბენეფიციარი – მეწარმე სუბიექტი, რომელმაც მიიღო პროგრამით განსაზღვრული ხელშეწყობა ამავე პროგრამით დადგენილი პირობების შესაბამისად;

ე) პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფი – მეწარმე სუბიექტთა ჯგუფი, რომელმაც მიიღო პროგრამით განსაზღვრული ხელშეწყობა ამავე პროგრამით დადგენილი პირობების შესაბამისად;

ვ) პროექტი – მეწარმე სუბიექტის/მეწარმე სუბიექტთა ჯგუფის მიერ პროგრამის ფარგლებში, პროგრამის მონაცემთა ბაზის მეშვეობით, სააგენტოსთვის წარდგენილი ბიზნესგეგმა;

ზ) სააგენტო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აწარმოე საქართველოში;

თ) ბენეფიციარის ხელშეკრულება – სააგენტოსა და პროგრამის ბენეფიციარს/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფს შორის დაფინანსების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ი) საკონკურსო კომისია – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და სააგენტოს წარმომადგენლებით დაკომპლექტებული კომისია, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ეტაპებს, მათი ჩატარების ვადებს, პირობებსა და პროცედურებს, მათ შორის, დაფინანსების პირობებს, მონიტორინგის განხორციელების პირობებსა და პროცედურას, შეფასების კრიტერიუმებს, ახდენს პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების იდენტიფიცირებასა და რეკომენდაციების შემუშავებას;

ახორციელებს პროგრამის ბენეფიციარის/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფის შერჩევის პროცედურას და იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების თაობაზე. კომისიის შემადგენლობასა და საქმიანობის წესს ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი (კომისიის თავმჯდომარე);

კ) ეტაპი – პერიოდი პროგრამის ბენეფიციარის/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფის შერჩევიდან, ბენეფიციარის ხელშეკრულების სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის პროცედურის ჩათვლით;

ლ) პროგრამის მონაცემთა ბაზა – პროგრამის თითოეული ეტაპის აღრიცხვის ერთიანი ელექტრონული სისტემა.

მუხლი 12[22]. პროგრამის მიზანი

გამყოფი ხაზების (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები)) გასწვრივ ვაჭრობისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობის, აგრეთვე თანამშრომლობისა და ნდობის მშენებლობისათვის საფუძვლის შექმნის მიზნით, გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი წარმოებისა და პარტნიორული პროექტების მხარდაჭერა.

მუხლი 12[23]. პროგრამის განმახორციელებელ სუბიექტთა უფლება-მოვალეობები

1. პროგრამის კოორდინაციასა და პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

2. სააგენტო:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) ახდენს პროგრამის მონაცემთა ბაზის ადმინისტრირებასა და ამ ბაზაში რეგისტრირებული პროექტების პირველად გადარჩევას;

ბ) ახდენს საკონკურსო კომისიის ინფორმირებას პროექტების პირველადი გადარჩევის შედეგების შესახებ და, დაფინანსებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საკონკურსო კომისიას წარუდგენს შერჩეულ პროექტებს;

გ) საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, აფორმებს ბენეფიციარის ხელშეკრულებას პროგრამის ბენეფიციართან/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფთან და უზრუნველყოფს მათ დაფინანსებას სააგენტოს ასიგნებებიდან;

დ) პროგრამის ბენეფიციარს/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფს უწევს პროგრამასა და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ საინფორმაციო-საკონსულტაციო მხარდაჭერას;

ე) საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ბენეფიციარს/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფს უწევს ტექნიკურ დახმარებას ტრენინგებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების მეშვეობით;

ვ) პროგრამის ჯეროვნად განხორციელების მიზნით, უფლებამოსილია, შექმნას შესაბამისი ბენეფიციართა მომსახურების ცენტრი.

3. საკონკურსო კომისია:

ა) განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ეტაპებს, მათი ჩატარების ვადებს, პირობებსა და პროცედურებს, მათ შორის, დაფინანსების პირობებს, მონიტორინგის განხორციელების პირობებსა და პროცედურას, შეფასების კრიტერიუმებს;

ბ) ახდენს პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების იდენტიფიცირებასა და რეკომენდაციების შემუშავებას;

გ) ახორციელებს პროგრამის ბენეფიციარის/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფის შერჩევის პროცედურას და იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების თაობაზე.

მუხლი 12[24]. პროგრამაში მონაწილეობა

1. ახალი ბიზნესის დაწყების ან არსებულის გაფართოების/გადაიარაღების მიზნით, პროგრამაში მონაწილეობის მიღების მსურველი მეწარმე სუბიექტი/მეწარმე სუბიექტთა ჯგუფი სააგენტოში წარადგენს პროექტს.

2. საკონკურსო კომისიის მიერ დაფინანსების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სააგენტოსა და პროგრამის ბენეფიციარს/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფს შორის ფორმდება ბენეფიციარის ხელშეკრულება, რის შემდეგაც სააგენტო უფლებამოსილია, გასცეს დაფინანსება პროგრამის ბენეფიციარზე/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. სააგენტოს მხრიდან დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება:

ა) 7 000 (შვიდი ათასი) ლარამდე ერთ ბენეფიციარზე, რომელიც უნდა ცხოვრობდეს ან/და საქმიანობდეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე;

ბ) 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარამდე ბენეფიციართა ჯგუფზე, რომელიც შედგება ორი ბენეფიციარისგან, მათ შორის, ერთი ბენეფიციარი უნდა ცხოვრობდეს ან/და საქმიანობდეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე;

გ) 20 000 (ოცი ათასი) ლარამდე ბენეფიციართა ჯგუფზე, რომელიც შედგება სამი ბენეფიციარისგან, მათ შორის, მინიმუმ ერთი ბენეფიციარი უნდა ცხოვრობდეს ან/და საქმიანობდეს საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე;

დ) 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარამდე ბენეფიციართა ჯგუფზე, რომელიც შედგება ოთხი ან მეტი ბენეფიციარისგან, მათ შორის, მინიმუმ ერთი ბენეფიციარი უნდა ცხოვრობდეს ან/და საქმიანობდეს საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

4. სააგენტო პროგრამის ბენეფიციარის/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფის დაფინანსებას ახორციელებს საკონკურსო კომისიის მიერ განსაზღვრული წესით.

5. სააგენტოს მიერ პროგრამის ბენეფიციარის/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფის დაფინანსება შესაძლებელია, განხორციელდეს მხოლოდ პროექტით (ბიზნესგეგმით) გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი (აღჭურვილობის/მანქანა-დანადგარების) და საბრუნავი საშუალებების შესაძენად, საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 12[25]. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსება

1. პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტით სააგენტოსთვის გათვალისწინებული ასიგნებები.

2. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები შესაძლოა, დამატებით დაფინანსდეს საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით.

მუხლი 12[26]. პროგრამის ამოქმედება

პროგრამა ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №559

2018 წლის 22 ნოემბერი, ქ. თბილისი

„სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/10/2018, 300160070.10.003.020792) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 5**

1. დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 15 ნოემბრიდან.

2. დადგენილების მოქმედება შეჩერდეს 2019 წლის 15 იანვრამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №428

2018 წლის 21 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 92-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) კონტრაფაქციული პროდუქციის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა, თუ აღნიშნული დასტურდება „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განმცხადებლისა და საქონლის იმპორტიორის, ექსპორტიორის ან/და მფლობელის წერილობითი შეთანხმებით ან მხარეებს შორის დავის სასამართლო წესით განხილვისას, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №430

2018 წლის 21 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის:

1. **მე-19 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები**:

„თ) იმ შემთხვევებისა, როდესაც საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის წარდგენა შეუძლებელია მისი დემონტაჟის ან/და წარმოების უწყვეტი ციკლის შეფერხების გარეშე ან/და მისი დათვალიერება საგადასახადო ორგანოს თანხმობით ხორციელდება მასთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე:

თ.ა) საქონლის დროებითი შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადის გაგრძელებისას;

თ.ბ) დროებით შემოტანილი საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას;

თ.გ) შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეულ საქონელზე გადამუშავების ვადის გაგრძელებისას;

თ.დ) მიზნობრივი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით შემოტანილი საქონლის მიზნობრივი გამოყენების სტატუსის გაუქმების შემდეგ იმპორტის გადასახდელების გადახდისა და შესაბამის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას;

ი) მიზნობრივი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით შემოტანილი საქონლის იმ პირზე გასხვისების შემთხვევაში, რომელიც საქონელს იყენებს იმავე მიზნობრივი დანიშნულებით, ან ისეთი მიზნობრივი დანიშნულებით რისთვისაც საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას იმპორტის გადასახდელებზე გამოყენებული იქნებოდა შეღავათები.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ს შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე[1]“ ქვეპუნქტი:

„ე[1]) ამ მუხლის „ე“ ქვეპუნქტში მითითებული საქონლის იმ პირზე სრულად გასხვისების შემთხვევაში, რომელიც საქონელს იყენებს იმავე მიზნობრივი დანიშნულებით ან ისეთი მიზნობრივი დანიშნულებით, რისთვისაც საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას იმპორტის გადასახდელებზე გამოყენებული იქნებოდა შეღავათები – ახალი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა და წინმსწრები იმპორტის საბაჟო დეკლარაციის ძალადაკარგულად ცნობა. ამ საქონლის ნაწილის გასხვისების შემთხვევაში, იმ პირზე,რომელიც საქონელს იყენებს იმავე მიზნობრივი დანიშნულებით, ან ისეთი მიზნობრივი დანიშნულებით რისთვისაც საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას იმპორტის გადასახდელებზე გამოყენებული იქნებოდა შეღავათები, გარანტია უქმდება ნაწილობრივ, ახალი საბაჟო დეკლარაციის წარდგენითა და კორექტირებული წინმსწრები იმპორტის საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე – გასხვისებული საქონლის იმპორტის გადასახდელების შესაბამისი თანხის ნაწილში;“.

3. 53-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თუ მიზნობრივი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით შემოტანილი საქონელი გასხვისებულ იქნა სხვა პირზე, რომელიც საქონელს იყენებს იმავე მიზნობრივი დანიშნულებით, ან ისეთი მიზნობრივი დანიშნულებით რისთვისაც საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას იმპორტის გადასახდელებზე გამოყენებული იქნებოდა შეღავათები, მაშინ აღნიშნულ საქონელზე ისევ გავრცელდება აღნიშნული შეღავათები და ახალი მიზნობრივი დანიშნულებით დარჩება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქონლის ახალ მესაკუთრეს წარმოეშობა საქონლის დეკლარირების ვალდებულება. ამასთან, სხვა პირზე საქონლის სრულად გასხვისებისას წინმსწრები საბაჟო დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში კეთდება აღნიშვნა „ძალადაკარგულია“ და მიეთითება ახალი საბაჟო დეკლარაციის ნომერი და თარიღი, ხოლო სხვა პირზე საქონლის ნაწილის გასხვისებისას წინსმწრებ საბაჟო დეკლარაციაში ხორციელდება შესაბამისი ცვლილება და მიეთითება ახალი საბაჟო დეკლარაციის ნომერი და თარიღი.“.

4. 92-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-19 ან 19[1] ნაწილით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილება, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გასაჩივრებული არ ყოფილა ან არსებობს გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/531

2018 წლის 27 ნოემბერი, ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №70 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის თანდართული დებულება.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 8 ნოემბრის №1-1/595 ბრძანება (ვებგვერდი, 09/11/2016, სარეგისტრაციო კოდი: 010240030.22.024.016468).

საქართველოს ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების მინისტრი

გიორგი ქობულია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) იურიდიული დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. დეპარტამენტი წარმოადგენს სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.

3. დეპარტამენტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საკანონმდებლო აქტების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) სამართლებრივი აქტებისა და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

4. დეპარტამენტი თავისი ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებისას წარმოადგენს სამინისტროს.

5. დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია მინისტრისა და იმ მოადგილის წინაშე, რომელიც მინისტრის შესაბამისი აქტის საფუძველზე, კოორდინაციას უწევს დეპარტამენტის საქმიანობას.

მუხლი 2. დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და უფლებამოსილებები

1. დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და უფლებამოსილებებია:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამართლებრივი და საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადება;

ბ) სხვადასხვა უწყებიდან შესული, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტების ექსპერტიზა და სამართლებრივი დასკვნების მომზადება ან/და ვიზირება;

გ) დამოუკიდებლად ან სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ერთად სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების თაობაზე წინადადებათა მომზადება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებული სამართლებრივი და საკანონმდებლო აქტების პროექტების საქართველოს მთავრობაში, საქართველოს პარლამენტსა და სხვა სახელმწიფო უწყებებში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენის უზრუნველყოფა ან/და კოორდინაცია;

ე) სამინისტროს წარმომადგენლობა ყველა ინსტანციის სასამართლოში;

ვ) ადმინისტრაციული საჩივრების, განცხადებების განხილვა და/ან განხილვაში მონაწილეობა სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, სამინისტროს მიერ დასადები საერთაშორისო და სხვა სახის ხელშეკრულებების (გარდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების) პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება ან/და სამართლებრივი ექსპერტიზა;

თ) იმ ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგი, რომლებიც დადებულია სამინისტროს მიერ და სამინისტროსა და სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე არ ექვემდებარება სააგენტოს მხრიდან მონიტორინგის განხორციელებას, გარდა იმ ხელშეკრულებებისა, რომლებზეც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების შესაბამისად მონიტორინგს ახორციელებს სამინისტროს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ი) სამინისტროს კანონშემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და უზრუნველყოფა;

კ) კანონშემოქმედებით სფეროში პარლამენტისა და სამინისტროს ურთიერთობის კოორდინაცია და სამინისტროს საპარლამენტო მდივნისათვის „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განხორციელებაში ხელის შეწყობა.

2. დეპარტამენტი მისი საქმიანობის ეფექტურად და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, უფლებამოსილია მოითხოვოს მისთვის აუცილებელი ინფორმაცია შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისგან, ასევე ფიზიკური და იურიდიული პირებისგან.

3. დეპარტამენტი, მასზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას, თანამშრომლობს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან და სისტემაში შემავალ დაწესებულებებთან.

მუხლი 3. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (შემდგომში – დეპარტამენტის უფროსი).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. დეპარტამენტის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრი, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია მინისტრისა და მინისტრის შესაბამისი მოადგილის წინაშე.

4. დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს დეპარტამენტს დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელებისას;

გ) ანაწილებს მოვალეობებს დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეებს შორის და აძლევს მათ შესაბამის მითითებებს;

დ) ზედამხედველობს დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

ე) დეპარტამენტის სახელით ხელს აწერს/ვიზირებას უკეთებს დეპარტამენტში მომზადებულ სამინისტროს სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან გასაგზავნ კორესპონდენციას და/ან სამინისტროს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ შესათანხმებლად წარმოდგენილ დოკუმენტებს;

ვ) დეპარტამენტის სახელით ხელს აწერს/ვიზირებას უკეთებს დეპარტამენტში მომზადებულ სამინისტროდან გამავალ კორესპონდენციას;

ზ) წარუდგენს მინისტრს და შესაბამისი მინისტრის მოადგილეს წინადადებებს დეპარტამენტის სტრუქტურის, საშტატო განრიგის, მუშაობის ორგანიზაციის, საჯარო მოსამსახურეთა წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

თ) მინისტრთან და შესაბამის მინისტრის მოადგილესთან შუამდგომლობს დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების, ასევე მათი სამსახურებრივი მივლინების თაობაზე;

ი) ასრულებს სამინისტროს დებულებით, ამ დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ ფუნქციებს, აგრეთვე მინისტრის ან მინისტრის შესაბამისი მოადგილის ცალკეულ დავალებებს.

5. დეპარტამენტის უფროსს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე/მოადგილეები, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (შემდგომში – დეპარტამენტის უფროსის მოადგილე), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (არსებობის შემთხვევაში) ზედამხედველობს დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას და დეპარტამენტის უფროსის, შესაბამისი მინისტრის მოადგილისა და მინისტრის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

7. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (არსებობის შემთხვევაში) უფლებამოსილია ხელი მოაწეროს/ვიზირება გაუკეთოს დეპარტამენტში მომზადებულ, სამინისტროს სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებში გასაგზავნ კორესპონდენციას, აგრეთვე ხელი მოაწეროს ადმინისტრაციულ საჩივართან/განცხადებასთან დაკავშირებით სამინისტროდან გამავალ კორესპონდენციას.

8. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (არსებობის შემთხვევაში), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მასზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია დეპარტამენტის უფროსის და შესაბამისი მინისტრის მოადგილის წინაშე.

9. კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დეპარტამენტის უფროსის არყოფნისას, მის მოვალეობებს ასრულებს დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (არსებობის შემთხვევაში), ხოლო მოადგილის არყოფნის შემთხვევაში – დეპარტამენტის ერთ-ერთი საჯარო მოსამსახურე.

მუხლი 4. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულები და მათი ფუნქციები

1. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო;

ბ) ხელშეკრულებების ექსპერტიზის სამმართველო;

გ) სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველო;

დ) პარლამენტთან ურთიერთობის სამმართველო.

2. სამმართველოს ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (შემდგომში – სამმართველოს უფროსი), რომელიც წარმართავს სამმართველოს საქმიანობას და სამმართველოზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებაზე ანგარიშვალდებულია დეპარტამენტის უფროსის მოადგილის (არსებობის შემთხვევაში) და დეპარტამენტის უფროსის წინაშე.

3. სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო:

ა) უზრუნველყოფს შესაბამისი ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადებას, სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) ახორციელებს სხვადასხვა უწყებიდან შემოსულ, ასევე უშუალოდ სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტების ექსპერტიზას, სამართლებრივი დასკვნების მომზადებას ან/და ვიზირებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

გ) კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტების საქართველოს მთავრობაში და სხვა სახელმწიფო უწყებებში წარდგენას ან/და კოორდინაციას;

დ) დამოუკიდებლად ან სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ერთად უზრუნველყოფს სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების თაობაზე წინადადებათა მომზადებას;

ე) განიხილავს სამმართველოში შემოსულ კორესპონდენციას, აძლევს მას შესაბამის მსვლელობას და უზრუნველყოფს სათანადო რეაგირებას;

ვ) ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებსა და დაკისრებულ ამოცანებს.

4. ხელშეკრულებების ექსპერტიზის სამმართველო:

ა) კომპეტენციის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სამინისტროს მიერ დასადები საერთაშორისო და სხვა სახის ხელშეკრულებების (გარდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების) პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღებას ან/და სამართლებრივი ექსპერტიზას;

ბ) ახორციელებს იმ ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგს, რომლებიც დადებულია სამინისტროს მიერ და სამინისტროსა და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, არ ექვემდებარება სააგენტოს მხრიდან მონიტორინგის განხორციელებას, გარდა იმ ხელშეკრულებებისა, რომლებზეც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების შესაბამისად მონიტორინგს ახორციელებს სამინისტროს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფი;

გ) განიხილავს სამმართველოში შემოსულ კორესპონდენციას, აძლევს მას შესაბამის მსვლელობას და უზრუნველყოფს სათანადო რეაგირებას;

დ) ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებსა და დაკისრებულ ამოცანებს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველო:

ა) წარმოადგენს სამინისტროს ყველა ინსტანციის სასამართლოში;

ბ) ამზადებს განცხადებებს, სასარჩელო განცხადებებს, კერძო საჩივრებს, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებს და აძლევს მათ შესაბამის მსვლელობას;

გ) სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი დავების ანალიზის საფუძველზე ამზადებს წინადადებებს კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;

დ) განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივრებს, განცხადებებს ან/და მონაწილეობს მათ განხილვაში სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

ე) განიხილავს სამმართველოში შემოსულ კორესპონდენციას, აძლევს მას შესაბამის მსვლელობას და უზრუნველყოფს სათანადო რეაგირებას;

ვ) ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებსა და დაკისრებულ ამოცანებს.

6. პარლამენტთან ურთიერთობის სამმართველო:

ა) უზრუნველყოფს სამინისტროს კანონშემოქმედებით საქმიანობას;

ბ) დამოუკიდებლად ან სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან და სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ერთად შეიმუშავებს საკანონმდებლო და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტებს;

გ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს და შეიმუშავებს დასკვნებს სხვადასხვა უწყებიდან შემოსულ, ასევე უშუალოდ სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებული საკანონმდებლო აქტების პროექტების თაობაზე;

დ) კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობას და სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებული საკანონმდებლო აქტების პროექტების კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენას;

ე) უზრუნველყოფს კანონშემოქმედებით სფეროში პარლამენტისა და სამინისტროს ურთიერთობის კოორდინაციას და ხელს უწყობს სამინისტროს საპარლამენტო მდივანს „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განხორციელებაში;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვ) განიხილავს სამმართველოში შემოსულ კორესპონდენციას, აძლევს მას შესაბამის მსვლელობას და უზრუნველყოფს სათანადო რეაგირებას;

ზ) ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებსა და დაკისრებულ ამოცანებს.

მუხლი 5. დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეები

1. დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრი.

2. დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეებს შორის ფუნქციებს ანაწილებს დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (არსებობის შემთხვევაში) ან სამმართველოს უფროსი.

3. დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეები მათზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებაზე ანგარიშვალდებულნი არიან სამმართველოს უფროსის, დეპარტამენტის უფროსის მოადგილის (არსებობის შემთხვევაში) და დეპარტამენტის უფროსის წინაშე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-31/ნ

2018 წლის 19 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის №01-14/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის №01-14/ნ ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 03/10/2018; 040030000.22.035.016523) დამტკიცებული დებულების:

1. მე-2 **მუხლის** მე-2 **პუნქტის** ,,ც“ **ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს**.

2. მე-3 **მუხლის**:

ა) **პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. სააგენტოს ხელმძღვანელობს დირექტორი (შემდგომში – დირექტორი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.“;

ბ) **მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„4. დირექტორის არყოფნის (უფლებამოსილების შეწყვეტის ან შეჩერების) შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობებს ასრულებს მის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ერთ-ერთი მოადგილე.“.

3. **მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი 7. სახელმწიფო კონტროლი**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. სააგენტო ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. სააგენტოს საქმიანობაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო.

3. სამინისტრო უფლებამოსილია, მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარდგენა.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №52/ნ

2018 წლის 26 ნოემბერი, ქ. თბილისი

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების (სსმ 112, 26.09.2005):

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. დანართი №2-ით გათვალისწინებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ დუშეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების ცხრილიდან ამოღებულ იქნეს:

ა) მე-3 გრაფა;

ბ) 37-ე და 38-ე გრაფები.

2. დანართი №3-ით გათვალისწინებული საჯარო სკოლების ცხრილს მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8-მე-10 გრაფები:

8	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – ქალაქ დუშეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროსკარის საჯარო სკოლა	სოფელი მაღაროსკარი	დაწ-საბ-საშ
9	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – ქალაქ დუშეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლა	სოფელი ბარისახო	დაწ-საბ-საშ
10	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – ქალაქ დუშეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შატილის საჯარო სკოლა	სოფელი შატილი	დაწ-საბ-საშ

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №53/ნ

2018 წლის 29 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №74/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №74/ნ ბრძანებაში (სსმ, 103, 24/08/2010) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების:

1. **პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური“ (შემდგომში – სამსახური) არის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით შექმნილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.“.

2. **მე-2 მუხლის**:

ა) პირველი პუნქტის:

ა.ა) ,,ა“ „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საჯარო სკოლებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა და ამ მიზნით სკოლასთან თანამშრომლობა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში – საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხელშეკრულებების საფუძველზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა;

გ) სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ხელშეკრულებების საფუძველზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა;“;

ა.ბ) „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ - „ი“ ქვეპუნქტები:

„დ) ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევა ფსიქოლოგიური პრობლემების, ქცევითი და ემოციური დარღვევების მქონე მოსწავლეების, სტუდენტების, პროფესიული სტუდენტებისა და მათი მშობლებისათვის, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების და/ან მასწავლებლებისათვის;

ე) სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში ან/და საჯარო სკოლებში დასაქმებული ფსიქოლოგების საქმიანობის კოორდინაცია და საინფორმაციო მხარდაჭერის აღმოჩენა;

ვ) კატასტროფისათვის (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა) მზადყოფნის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, ძალადობის საწინააღმდეგო (მათ შორის – ანტიბულინგური) საგანმანათლებლო კამპანიების და სხვა პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვაში და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ტრენინგების საჭიროების განსაზღვრა და ორგანიზება;

თ) საგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემა;

ი) ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში სკოლასთან თანამშრომლობა.“;

ბ) მე-2 პუნქტის:

ბ.ა) ,,გ“ - „ვ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სამსახური უზრუნველყოფს საჯარო სკოლებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და ამ მიზნით თანამშრომლობს სკოლასთან;

დ) სამსახური უზრუნველყოფს კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში – საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხელშეკრულებების საფუძველზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) სამსახური უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ხელშეკრულებების საფუძველზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

ვ) სამსახური უზრუნველყოფს ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევას ფსიქოლოგიური პრობლემების, ქცევითი და ემოციური დარღვევების მქონე მოსწავლეების, სტუდენტების, პროფესიული სტუდენტებისა და მათი მშობლებისათვის, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების და/ან მასწავლებლებისათვის;“;

ბ.ბ) „ზ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ.გ) „ი“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

ბ.დ) „ს“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ტ“ - „ფ“ ქვეპუნქტები:

„ტ) სამსახური უზრუნველყოფს სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში ან/და საჯარო სკოლებში დასაქმებული ფსიქოლოგების საქმიანობის კოორდინაციას და საინფორმაციო მხარდაჭერის აღმოჩენას;

უ) სამსახური უზრუნველყოფს კატასტროფისათვის (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა) მზადყოფნის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, ძალადობის საწინააღმდეგო (მათ შორის – ანტიბულინგური) საგანმანათლებლო კამპანიების და სხვა პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღებას;

ფ) სამსახური უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემას;“;

გ) მე-5 პუნქტის:

გ.ა) ,,ა“, „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) უზრუნველყოფს კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში - საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხელშეკრულებების საფუძველზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

ბ) უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, მათ შორის, საჯარო სკოლებში, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ.ბ) „კ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ - „ნ“ ქვეპუნქტები:

„ლ) უზრუნველყოფს კატასტროფისათვის (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა) მზადყოფნის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, ძალადობის საწინააღმდეგო (მათ შორის – ანტიბულინგური) საგანმანათლებლო კამპანიების და სხვა პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვაში და განხორციელებაში მონაწილეობის მიღებას;

მ) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემას;

ნ) უზრუნველყოფს ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში სკოლასთან თანამშრომლობას;“;

დ) მე-6 პუნქტის:

დ.ა.) ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) უწევს ფსიქოლოგიური მომსახურებას ფსიქოლოგიური პრობლემების, ქცევითი და ემოციური დარღვევების მქონე მოსწავლეებს, სტუდენტებს, პროფესიული სტუდენტებსა და მათი მშობლებს, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს და/ან მასწავლებლებს;“;

დ.ბ) „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

დ.გ) „ვ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ.დ) „ი“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ.ე) „ნ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო“ ქვეპუნქტი:

„ო) უზრუნველყოფს სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში ან/და საჯარო სკოლებში დასაქმებული ფსიქოლოგების საქმიანობის კოორდინაციას და საინფორმაციო მხარდაჭერის აღმოჩენას;“;

ე) მე-3 მუხლის:

ე.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი (შემდგომში – უფროსი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი;“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე.ბ) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. უფროსის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №253/04

2018 წლის 30 ნოემბერი, ქ. თბილისი

გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

დამტკიცდეს გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულება თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 ივლისიდან.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულება

მუხლი 1. დებულების გავრცელების სფერო

1. ამ დებულების მიზანია განისაზღვროს გადარიცხვის ოპერაციაში გადამხდელისა და მიმღების შესახებ ის სავალდებულო რეკვიზიტები, რომელიც თან უნდა ახლდეს აღნიშნულ გადარიცხვას მისი შესრულების ყველა ეტაპზე. ეს დებულება ვრცელდება ისეთ გადარიცხვებზე, რომლის გადამხდელის ან/და მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა.

2. ეს დებულება ვრცელდება გადარიცხვის ოპერაციებზე ნებისმიერ ვალუტაში, რომელიც იგზავნება, გადაცემულია ან მიღებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკის ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ.

3. ეს დებულება არ ვრცელდება საგადახდო ბარათის, ელექტრონული ფულის ინსტრუმენტის, მობილური ტელეფონის საშუალებით, ან გადამხდელის სხვა მსგავსი ციფრული ან ინფორმაციულ-ტექნოლოგიური მოწყობილობით (შემდგომში – ელექტრონული საგადახდო ინსტრუმენტი) ინიცირებული გადარიცხვის ოპერაციებზე, თუ სრულდება შემდეგი ორივე პირობა:

ა) ელექტრონული საგადახდო ინსტრუმენტის საშუალებით ხორციელდება საქონლისა და მომსახურების საფასურის გადახდა;

ბ) ელექტრონული საგადახდო ინსტრუმენტის ნომერი თან ახლავს გადახდის ოპერაციას მისი შესრულების ყველა ეტაპზე, იმგვარი სახით, რომ შესაძლებელი იყოს გადახდის ოპერაციის დაკავშირება გადამხდელთან.

4. დებულება ასევე არ ვრცელდება შემდეგი გადარიცხვის ოპერაციებზე:

ა) გადამხდელის მიერ საკუთარი ანგარიშიდან თანხის გატანა ელექტრონული საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენებით;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში ან სხვა სახელმწიფო ორგანოში გადახდის ოპერაცია;

გ) პროვაიდერებს შორის განხორციელებული გადახდის ოპერაციები ან ანგარიშსწორება, რომლებშიც გადამხდელი და მიმღები საკუთარი სახელით მოქმედი პროვაიდერებია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. ამ დებულების მოთხოვნები არ ვრცელდება საქონლის ან მომსახურების საფასურის გადარიცხვის ოპერაციებზე, თუ დაცულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) მიმღების და გადამხდელის პროვაიდერი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა;

ბ) გადამხდელის პროვაიდერსა და მიმღებს შორის არსებული ელექტრონული ინფორმაციის მიმოცვლის სისტემა, რომლის საფუძველზეც ყალიბდება გადახდის ოპერაცია, უზრუნველყოფს გადახდის ოპერაციის დანიშნულების დადგენას;

გ) გადამხდელის პროვაიდერს ან/და მიმღების პროვაიდერს მიმღების მეშვეობით აქვს ტრანზაქციის უნიკალური კოდის ან სხვა რეკვიზიტის საშუალებით საქონლის ან მომსახურების მიმღების დადგენის შესაძლებლობა;

დ) ოპერაციის თანხა არ აღემატება 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარს ან 3000 ლარს, ან ამ უკანასკნელის ეkვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში.

6. საგადახდო სისტემის ან შეტყობინებების გაცვლის სისტემის წესებით შესაძლოა დადგენილი იყოს გადამხდელისა და მიმღებისათვის ამ დებულებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა სხვა დამატებითი ინფორმაციის გადაცემის ვალდებულება.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. დებულებაში მოცემულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) შუამავალი პროვაიდერი – საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, რომელიც არ არის გადამხდელის ან მიმღების პროვაიდერი და რომელიც იღებს გადახდის ოპერაციას გადამხდელის ან სხვა შუამავალი პროვაიდერისგან და გადასცემს მას მიმღების ან სხვა შუამავალ პროვაიდერს;

ბ) გადარიცხვა (ან გადარიცხვის ოპერაცია) – გადამხდელის დავალებით/თანხმობით პროვაიდერის მიერ ელექტრონული საშუალებით თანხის გაგზავნა მიმღებისთვის ოპერაციის თანხის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, გადამხდელის და მიმღების სახელზე ანგარიშების გაუხსნელად. გადარიცხვისას, გადამხდელი და მიმღები შეიძლება ერთი და იგივე პირი იყოს ან ორივეს ერთი პროვაიდერი უწევდეს საგადახდო მომსახურებას. კერძოდ, გადარიცხვაში შედის:

ბ.ა) საკრედიტო გადარიცხვა;

ბ.ბ) სადებეტო გადარიცხვა (მათ შორის, პირდაპირი დებეტი);

ბ.გ) ფულადი გზავნილები, როგორც ლოკალური, ასევე საერთაშორისო;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ.დ) ელექტრონული საგადახდო ინსტრუმენტით განხორციელებული გადახდის ოპერაცია;

გ) დაკავშირებული გადარიცხვის ოპერაციები – ერთსა და იმავე გადამხდელსა და მიმღებს შორის პროვაიდერის მიერ განსაზღვრულ დროის გონივრულ პერიოდში შესრულებული გადარიცხვები. ასევე, პროვაიდერის მიერ პოლიტიკით ან/და პროცედურებით დამატებით განსაზღვრული სხვა კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც გადარიცხვის ოპერაციები დაკავშირებულად განიხილება;

დ) ტრანზაქციის უნიკალური კოდი – პროვაიდერის მიერ საგადახდო სისტემის ან შეტყობინებების გაცვლის სისტემის წესების საფუძველზე, ან/და მისი შიდა სისტემისთვის განსაზღვრული ასოების, ციფრების, სიმბოლოების ან სხვა მონაცემების კომბინაცია, რომელიც ენიჭება აღნიშნული სისტემებით შესრულებული გადახდის ოპერაციებს და რომელიც უზრუნველყოფს გადახდის ოპერაციის დაკავშირებას გადამხდელსა და მიმღებთან.

2. დებულებაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 22 იანვრის №8/04 ბრძანებით დამტკიცებული „გადახდის ოპერაციის შესრულების წესით“ და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 3. გადამხდელის პროვაიდერის ვალდებულება გადარიცხვის თანმხლებ ინფორმაციასთან დაკავშირებით

1. გადამხდელის პროვაიდერი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ გადარიცხვის ოპერაციას თან ახლდეს გადამხდელის და მიმღების შესახებ ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია.

2. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, გადამხდელის პროვაიდერი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ გადარიცხვის ოპერაციას თან ახლდეს:

ა) გადამხდელის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

ა.ა) გადამხდელის სახელწოდება (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი);

ა.ბ) გადამხდელის ანგარიშის ნომერი (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, გადახდის ოპერაციას თან უნდა ახლდეს ტრანზაქციის უნიკალური კოდი);

ა.გ) გადამხდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის/პასპორტის ნომერი ან პირის საიდენტიფიკაციო ნომერი ან დაბადების თარიღი და ადგილი;

ბ) მიმღების შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ.ა) მიმღების სახელწოდება (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი);

ბ.ბ) მიმღების ანგარიშის ნომერი (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, გადახდის ოპერაციას უნდა გაყვეს ტრანზაქციის უნიკალური კოდი).

3. თუ გადახდის ოპერაციის შესრულებაში მონაწილე ყველა პროვაიდერი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა, მაშინ გადამხდელის პროვაიდერი ვალდებულია გააყოლოს გადარიცხვის ოპერაციას, სულ მცირე, გადამხდელის და მიმღების ანგარიშის ნომრები (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, გადახდის ოპერაციას უნდა გაჰყვეს ტრანზაქციის უნიკალური კოდი). თუ გადარიცხვის ოპერაციის ინიცირება ხორციელდება ელექტრონულად, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ან სხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, გადამხდელის ვერიფიკაცია დასაშვებია განხორციელდეს იმ პროვაიდერის მიერ, ვისაც გატარებული აქვს ამ გადამხდელის იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის პროცედურები.

4. თუ მიმღების პროვაიდერი არ არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და გადარიცხვის ოპერაციის თანხა არ აღემატება 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარს ან 3000 ლარს ან ამ უკანასკნელის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში, მაშინ გადამხდელის პროვაიდერი ვალდებულია გააყოლოს გადარიცხვის ოპერაციას სულ მცირე გადამხდელის და მიმღების სახელწოდებები (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი) და ანგარიშის ნომრები (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, გადახდის ოპერაციას უნდა გაჰყვეს ტრანზაქციის უნიკალური კოდი).

5. გადამხდელის პროვაიდერმა არ უნდა შეასრულოს გადარიცხვის ოპერაცია, თუ მას გადამხდელის მიმართ არ გაუტარებია შემოწმების (ვერიფიკაციის) პროცედურები „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის და სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული პირის ვერიფიკაციისა და დოკუმენტაციის/ინფორმაციის შენახვის მოთხოვნების შესაბამისად, შემდეგ შემთხვევებში:

ა) გადარიცხვის ოპერაციის თანხა ან დაკავშირებული გადარიცხვის ოპერაციების ჯამური თანხა აღემატება 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარს ან 3000 ლარს, ან ამ უკანასკნელის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში; ან

ბ) გადამხდელისგან თანხის მიღება განხორციელდა ნაღდი ფულით ან ანონიმური ელექტრონული ინსტრუმენტით; ან

გ) არის ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ეჭვი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. ამ მუხლით განსაზღვრული გადარიცხვის ოპერაციებისთვის დადგენილი გადამხდელის შესახებ მონაცემები გადამოწმებული (ვერიფიცირებული) უნდა იყოს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის და სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 4. გადამხდელის პროვაიდერის ვალდებულება მიმღების და შუამავალი პროვაიდერების მიმართ

გადამხდელის პროვაიდერი ვალდებულია, უზრუნველყოს, მიმღების პროვაიდერისგან ან შუამავალი პროვაიდერისგან მოთხოვნის მიღების შემთხვევაში, სამი სამუშაო დღის ვადაში, მათთვის შემდეგი ინფორმაციის მიწოდება:

ა) თუ გადარიცხვის ოპერაციის თანხა ან დაკავშირებული გადარიცხვის ოპერაციების ჯამური თანხა აღემატება 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარს ან 3000 ლარს ან ამ უკანასკნელის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში, მაშინ – გადამხდელის და მიმღების შესახებ ამ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“, „ა.ბ“,

„ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციის და „ა.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულიდან ერთ-ერთი ინფორმაციის;

ბ) თუ გადარიცხვის ოპერაციის თანხა არ აღემატება 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარს ან 3000 ლარს, ან ამ უკანასკნელის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში, მაშინ – გადამხდელის და მიმღების სახელწოდებები (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი) და ანგარიშის ნომრები (ასეთის არ არსებობის შემთხვევაში - ტრანზაქციის უნიკალური კოდი).

მუხლი 5. მიმღების პროვაიდერის ვალდებულება გადარიცხვის თანმხლებ ინფორმაციასთან დაკავშირებით

1. მიმღების პროვაიდერი ვალდებულია დანერგოს ეფექტური პროცედურები, რომელთა საშუალებით განახორციელებს მიღებულ გადარიცხვებში (შემდგომში- ჩარიცხვები) გადამხდელსა და მიმღებზე ამ დებულებით გათვალისწინებული ინფორმაციის არსებობის შემოწმებას დროის რეალურ რეჟიმში ან შემდგომი მონიტორინგის გზით.

2. მიმღების პროვაიდერმა არ უნდა დააკრედიტოს მიმღების ანგარიში ან არ უნდა გახადოს ხელმისაწვდომი თანხა მიმღებისთვის, თუ მას მიმღების მიმართ არ გაუტარებია შემოწმების (ვერიფიკაციის) პროცედურები „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული პირის ვერიფიკაციისა და დოკუმენტაციის/ინფორმაციის შენახვის მოთხოვნების შესაბამისად, შემდეგ შემთხვევებში:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) თუ ჩარიცხვის თანხა ან დაკავშირებული ჩარიცხვების ჯამური თანხა აღემატება 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარს ან 3000 ლარს, ან ამ უკანასკნელის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში; ან

ბ) ფულადი გზავნილის ნაღდი ფულით გატანისას ან ანონიმურ ელექტრონულ ინსტრუმენტზე გადატანისას;

გ) თუ არის ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ეჭვი.

მუხლი 6. შუამავალი პროვაიდერის ვალდებულება გადარიცხვის თანმხლებ ინფორმაციასთან დაკავშირებით

1. შუამავალმა პროვაიდერმა უნდა უზრუნველყოს გადახდის ოპერაციაში არსებული გადამხდელის და მიმღების შესახებ ყველა ინფორმაციის გადაცემა მიმღების ან სხვა შუამავალი პროვაიდერისათვის.

2. შუამავალი პროვაიდერი ვალდებულია დანერგოს ეფექტური რისკზე დამყარებული პროცედურები, რომელთა საშუალებით განახორციელებს გადარიცხვებში გადამხდელსა და მიმღებზე ამ დებულებით გათვალისწინებული ინფორმაციის არსებობის დადგენას დროის რეალურ რეჟიმში ან შემდგომი მონიტორინგის გზით.

მუხლი 7. გადარიცხვები არასრული თანმხლები ინფორმაციით

1. მიმღების პროვაიდერმა უნდა დანერგოს ეფექტური, რისკზე დამყარებული პროცედურები, რომელიც, მათ შორის, მოიცავს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რისკზე დამყარებულ მიდგომას და რომლის საფუძველზეც პროვაიდერი განსაზღვრავს არასრული თანმხლები ინფორმაციით მიღებული ჩარიცხვების შესრულების, უკან დაბრუნების ან მიმღების ანგარიშზე ჩარიცხვის/მიმღებისთვის ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობის შეჩერების საკითხებს, ასევე აღნიშნულ ჩარიცხვებთან დაკავშირებით პროვაიდერის შემდგომი ქმედებების საკითხებს (მათ შორის, გადამხდელის ან შუამავალი პროვაიდერისგან ამ დებულებით განსაზღვრული ინფორმაციის გამოთხოვას).

2. რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე, მიმღების პროვაიდერი თავად განსაზღვრავს როდის განახორციელებს გადამხდელის ან შუამავალი პროვაიდერისგან ინფორმაციის გამოთხოვას - მიმღების ანგარიშზე თანხის დაკრედიტებამდე/მიმღებისთვის თანხის ხელმისაწვდომობა თუ მას შემდეგ. მიმღების პროვაიდერი ასევე უფლებამოსილია შეაჩეროს ან არ შეასრულოს და უკან დააბრუნოს ჩარიცხვა.

3. რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე, შუამავალი პროვაიდერი თავად განსაზღვრავს, როდის განახორციელებს გადამხდელის ან სხვა შუამავალი პროვაიდერისგან ინფორმაციის გამოთხოვას – გადარიცხვის ოპერაციის მიმღების ან სხვა შუამავალი პროვაიდერისთვის გადაცემამდე თუ მას შემდეგ. შუამავალი პროვაიდერი ასევე უფლებამოსილია შეაჩეროს ან არ შეასრულოს და უკან დააბრუნოს გადარიცხვის ოპერაცია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. თუ პროვაიდერი არ უზრუნველყოფს გადამხდელის ან მიმღების შესახებ ამ დებულებით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდებას, მიმღების ან შუამავალმა პროვაიდერმა ზემოაღნიშნული პროვაიდერის რისკისა და დარღვევის სიხშირის გათვალისწინებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მისი გაფრთხილების ან ამ პროვაიდერისათვის ვადის დადგენის შესახებ, რომლის შემდგომაც ინფორმაციის მოწოდების ვალდებულების დარღვევის გამო მიმღების ან შუამავალი პროვაიდერი აღარ მიიღებს მისგან ჩარიცხვებს ან შეზღუდავს ან შეწყვეტს მასთან საქმიან ურთიერთობას.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №256/04

2018 წლის 30 ნოემბერი, ქ. თბილისი

საპენსიო სააგენტოს სპეციალური ადმინისტრირების დროებითი რეჟიმის შემოღებისა და მოქმედების წესის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 52^3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

დამტკიცდეს საპენსიო სააგენტოს სპეციალური ადმინისტრირების დროებითი რეჟიმის შემოღებისა და მოქმედების წესი თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საპენსიო სააგენტოს სპეციალური ადმინისტრირების დროებითი რეჟიმის შემოღებისა და მოქმედების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საპენსიო სააგენტოს სპეციალური ადმინისტრირების დროებითი რეჟიმის შემოღებისა და მოქმედების წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) მიერ საპენსიო სააგენტოში დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებისა და მოქმედების წესს.

2. დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის მიზანია საპენსიო სააგენტოს მიერ საინვესტიციო საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველყოფა.

3. დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმს წარმართავს დროებითი ადმინისტრატორი ამ წესითა და კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში. დროებითი ადმინისტრატორი ანგარიშვალდებულია ეროვნული ბანკის წინაშე.

4. მხოლოდ ეროვნულ ბანკს აქვს უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილება საპენსიო სააგენტოში დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებისა და გაუქმების, ასევე, დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნისა და გათავისუფლების თაობაზე.

მუხლი 2. დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღება

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, საპენსიო სააგენტოს მიმართ შემოიღოს დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმი, თუ განხორციელდა საპენსიო აქტივების ინვესტირების და მასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგად მიღებული საპენსიო აქტივების 1%-ზე მეტი დანაკარგი, რომელიც არ არის გამოწვეული საბაზრო პირობების ცვლილებით. ასევე, დროებითი ადმინისტრირების რეჟიმის შემოღება ხდება ეროვნული ბანკის არსებითი მითითებების სისტემატური შეუსრულებლობის, ან ისეთი მდგომარეობის დროს, როდესაც საპენსიო სააგენტო დროებით ვერ ასრულებს საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს.

2. საპენსიო სააგენტოში დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებისა და დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნის შესახებ ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. წინამდებარე აქტი ქვეყნდება ეროვნული ბანკის ვებგვერდზე და სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ აქტში, მინიმუმ, მითითებული უნდა იყოს:

ა) დროებითი ადმინისტრაციის შემოღების საფუძვლები;

ბ) დროებითი ადმინისტრატორის (ადმინისტრატორების) სახელი და გვარი;

გ) დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის მოქმედების ვადა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნის ვადა.

4. დროებით ადმინისტრაციას წარმართავს დროებითი ადმინისტრატორი, რომელიც ინიშნება და თავისუფლდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ეროვნული ბანკის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. დროებითი ადმინისტრატორი შესაძლოა იყოს როგორც ეროვნული ბანკის თანამშრომელი, ისე სხვა პირი, რომელსაც ექნება შესაბამისი კვალიფიკაცია, უნარები და გამოცდილება დაკისრებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულებისთვის და, ამასთან, არ იქნება სახეზე ინტერესთა კონფლიქტი. დროებითი ადმინისტრატორის კანდიდატურის შერჩევა ხორციელდება ეროვნული ბანკის მიერ, ამ წესის მე-3 მუხლით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

6. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეცვალოს დროებითი ადმინისტრატორი, მის მიმართ დადგენილი პირობები, მათ შორის, მისი დანიშვნის ვადა.

მუხლი 3. დროებითი ადმინისტრატორის შერჩევისა და დანიშვნის კრიტერიუმები

1. დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის ეფექტურად წარმართვისათვის დროებით ადმინისტრატორს უნდა ჰქონდეს შესაბამისი საქმიანობის წარმოებისათვის აუცილებელი სათანადო კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება, შესაბამისი კომპეტენცია და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.

2. პირს ეკრძალება იყოს დროებითი ადმინისტრატორი, თუ იგი ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის. დროებით ადმინისტრატორად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც გამოცხადებულია გაკოტრებულად.

3. დროებით ადმინისტრატორად დასანიშნ პირს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება ერთ-ერთი ისეთი სპეციალობით, როგორიცაა ეკონომიკა, ფინანსები, საბანკო საქმე, ბიზნესის ადმინისტრირება, აუდიტი, ბუღალტერია ან სხვა შესაბამისი განათლება, რომელიც საჭიროა მათზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად.

4. დროებით ადმინისტრატორს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, რისთვისაც მას უნდა ჰქონდეს საფინანსო სექტორში მუშაობის მინიმუმ 3 წლის სტაჟი.

მუხლი 4. დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმი

1. დროებითი ადმინისტრატორი მოვალეობათა შესრულებას იწყებს ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული მომენტიდან.

2. ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის დღიდან დაუშვებელია ნებისმიერი ქმედების განხორციელება საპენსიო სააგენტოს სახელით და მისი ხარჯებით დროებითი ადმინისტრატორის წერილობითი თანხმობის გარეშე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 5. დროებითი ადმინისტრატორის უფლებამოსილებანი

1. დროებით ადმინისტრატორზე გადადის საპენსიო სააგენტოს ყველა ორგანოს სრული უფლებამოსილება.

2. ეროვნული ბანკის მიერ დანიშნულ დროებით ადმინისტრატორს უფლება აქვს, მიიღოს საპენსიო სააგენტოს ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის აუცილებელი ზომები.

3. საპენსიო სააგენტოს დროებითი ადმინისტრატორი უფლებამოსილია, სასამართლოში სარჩელის შეტანით სადავო გახადოს საპენსიო სააგენტოს მიერ დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნამდე 1 (ერთი) წლით ადრე განხორციელებული ქმედება ან გარიგება და მოითხოვოს მისი ბათილობა, თუ ამის შედეგად საპენსიო სააგენტოსთან დაკავშირებულმა პირებმა საპენსიო სააგენტოს ხარჯზე მიიღეს ქონებრივი სარგებელი ან ისარგებლეს რაიმე უპირატესობით, პრივილეგიით ან შეღავათით, რამაც გამოიწვია საპენსიო სააგენტოსთვის ან საპენსიო სქემის მონაწილეთათვის ზიანის მიყენება.

4. დროებით ადმინისტრატორს არ დაეკისრება პირადი პასუხისმგებლობა რომელიმე პირის მიმართ რაიმე მოქმედებისათვის ან უმოქმედობისათვის, თუკი მან ეს ქმედება ჩაიდინა ან მისგან თავი შეიკავა თავისი მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულებისას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ეროვნული ბანკი ვალდებულია სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებში დაიცვას დროებითი ადმინისტრატორის ინტერესები, რაც შეიძლება გამოიხატოს დროებითი ადმინისტრატორის იურიდიული მომსახურებით უზრუნველყოფაში, დავასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებასა და სხვა ღონისძიებებში, რომლებსაც ეროვნული ბანკი საჭიროდ მიიჩნევს დროებითი ადმინისტრატორის ინტერესების დასაცავად, თუ აღნიშნული დროებითი ადმინისტრატორის მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება განპირობებული იყო სამსახურებრივი ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებით.

5. ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, დროებითი ადმინისტრატორის რიგი გადაწყვეტილებები შესაძლოა დაექვემდებაროს ეროვნული ბანკისგან წინასწარ თანხმობას. წინასწარი თანხმობის მიღების ვალდებულება შესაძლოა განისაზღვროს როგორც დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნისას, ისე დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის მოქმედების ნებისმიერ სხვა ეტაპზე.

მუხლი 6. ანგარიშგება ეროვნულ ბანკთან

დროებითმა ადმინისტრატორმა საპენსიო სააგენტოს ფინანსური მდგომარეობის, მის მიერ განხორციელებული ღონისძიებების/ქმედებებისა და საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მომხდარი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ ანგარიშგება უნდა განახორციელოს ეროვნულ ბანკთან ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული პერიოდულობით და აგრეთვე დროებითი ადმინისტრატორის ვადის ამოწურვისას (მათ შორის, ვადამდე გათავისუფლებისას).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 7. დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის ხანგრძლივობა და მისი გაუქმება

1. დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებისა და დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნის ვადა არ უნდა აჭარბებდეს 1 (ერთ) წელს, თუმცა, სათანადო საფუძვლის არსებობისას, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ვადა შესაძლოა გახანგრძლივდეს. აღნიშნული საფუძველი, მათ შორის, შესაძლოა იყოს დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღების რომელიმე საფუძვლის აღმოუფხვრელობა ან/და საპენსიო სააგენტოს ფინანსური მდგომარეობის გაუარესების საფრთხე.

2. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გაათავისუფლოს დროებითი ადმინისტრატორი ნებისმიერ დროს, ნებისმიერი საფუძვლით.

3. დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმი უქმდება:

ა) მისი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) ეროვნული ბანკის დასაბუთებული გადაწყვეტილებით.

4. დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის გაუქმების შესახებ ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლიც ქვეყნდება ეროვნული ბანკის ვებგვერდზე და სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, მისი გამოცემიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №429

2018 წლის 21 ნოემბერი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 84-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საანგარიშო თვის/კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე საგადასახადო ორგანოს წარედგინება „ანგარიშგება საერთაშორისო საზღვაო რეისებზე ბორტზე მიწოდებული საწვავის ან/და საპოხი საშუალებების ან მგზავრებზე და ეკიპაჟის წევრებზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამომხმარებლო საქონლის შესახებ“ (დანართი №IV-08) ან „ანგარიშგება საერთაშორისო საავიაციო რეისებზე ბორტზე მიწოდებული საწვავის ან/და საპოხი საშუალებების ან მგზავრებზე და ეკიპაჟის წევრებზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამომხმარებლო საქონლის შესახებ“ (დანართი №IV-09) ან „ანგარიშგება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში სამოქალაქო საავიაციო რეისებისა და საავიაციო სამუშაოების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებისთვის განკუთვნილი საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების შესახებ“ (დანართი №IV-091), ან ახალი საბაჟო დეკლარაცია და ძალადაკარგული/კორექტირებული წინმსწრები იმპორტის საბაჟო დეკლარაცია. თუ აღნიშნული დოკუმენტები არ იქნა წარდგენილი, ბრუნვის შესაბამის ნაწილზე გაანგარიშებული უნდა იქნეს ბიუჯეტში გადასახდელი აქციზი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. იმპორტიორის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტია უქმდება სრულად ან ნაწილობრივ, საერთაშორისო საზღვაო ან საერთაშორისო საავიაციო რეისებზე ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული საწვავის და საპოხი საშუალებების ან მგზავრებზე და ეკიპაჟის წევრებზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამომხმარებლო საქონლის, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში სამოქალაქო საავიაციო რეისების ან საავიაციო სამუშაოების განსახორციელებლად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების მოცულობაზე გაანგარიშებული აქციზის, ხოლო ამ პუნქტში მითითებული საქონლის იმ პირზე სრულად ან ნაწილობრივ გასხვისების შემთხვევაში, რომელიც საქონელს იყენებს იმავე მიზნობრივი დანიშნულებით, ან ისეთი მიზნობრივი დანიშნულებით, რისთვისაც საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას იმპორტის გადასახდელებზე გამოყენებული იქნებოდა შეღავათები – გასხვისებულ საქონელზე გაანგარიშებული აქციზის მიხედვით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris brZaneba

საქართველოს შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №33024

2018 წლის 19 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქციის“ (დანართი №1):

ა) პირველი მუხლის 12^4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 12^5 პუნქტი:

„12^5. „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის VI დანართში მითითებული საქონლის (სამშენებლო პროდუქტები (ცემენტი, ელექტროკაბელები, არმატურა, პლასტმასის მილები)) იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევის მიზნით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას, ამავე რეგლამენტის 1^2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტ(ებ)ის წარუდგენლობის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი დეკლარანტს გადასცემს „შეტყობინებას სამშენებლო პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ვალდებულებაზე“ (დანართი №I–06) და ადგენს ნაკლოვანებების აღმოფხვრის (შესაბამისი დოკუმენტის წარდგენის) ან საქონლის უკან დაბრუნების ან მის მიმართ იმპორტის გარდა სხვა სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისათვის 6 სამუშაო დღის ვადას, რომელიც აითვლება სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) „დანართი №I–05“ შემდეგ დაემატოს „დანართი №I–06“ შემდეგი რედაქციით:

„დანართი №I–06

თარიღი: _____

საბაჟო დეპარტამენტის

(სტრუქტურული ერთეული)

შეტყობინება

სამშენებლო პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ვალდებულებაზე

_____

(პირის დასახელება/ გვარი, სახელი)

_____

(საიდენტ./პირადი/პასპ. №)

_____

(მისამართი)

ვინაიდან თქვენს მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე სამშენებლო პროდუქტის

_____

(საქონლის დასახელება)

შემოტანისას არ იქნა წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებით დამტკიცებული „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ 1^2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტ(ებ)ი, ნაკლოვანებათა აღმოფხვრის (მითითებული დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენა), საქონლის უკან დაბრუნების ან საქონლის მიმართ იმპორტის გარდა სხვა სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისათვის გეძლევათ 6 სამუშაო დღის ვადა (აითვლება სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან), 20___ წლის _____ ჩათვლით.

მითითებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თქვენი ხარჯით განხორციელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიებები.

ჩავაბარე _____

(უფლებამოსილი თანამშრომლის სახელი, გვარი, თანამდებობა, ხელმოწერა)

ჩავიბარე _____

(პირის ხელმოწერა)

შენიშვნა _____

“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი **ვ. ლაშქარაძე**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

a u q c i o n i

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

27.11.2018

2018 წლის 27 ნოემბერს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 30 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 5-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო სამმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 47 500 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.380 პროცენტით, მაქსიმალური 7.550 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 7.426 პროცენტით განისაზღვრა.

კუპონური საპროცენტო განაკვეთი 7.375 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა ოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

კომერციული ბანკების აქტივების მდგომარეობა

26.11.2018

2018 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 15 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი; მათ შორის 14 - საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით. ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 481.6 მილიონი ლარით, ანუ 1.3 პროცენტით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.6 პროცენტით შემცირდა) და 2018 წლის პირველი ნოემბრისათვის 38.3 მლრდ ლარს მიაღწია.

საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 4.9 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 12.7 პროცენტია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის
უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com